განკარგულება:**g-63. 63262157**
თარიღი:**03/08/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228).

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 3960 (სამიათასცხრაასსამოცი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარი.

1.5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.228), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 20 (ოცი) წელი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი